ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

28 ოქტომბერი 2025

N182751

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს ,,ნიუ როუდ ჯგუფი“-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

შპს ,,ნიუ როუდ ჯგუფი“-ს მიერ (ს/ნ - 441996663) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2025 წლის 1 ოქტომბერს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს III კატეგორიის საწარმოს და II კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სდპ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით, თუ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი". სუბიექტის მიერ ატვირთული კონსოლიდირებული ანგარიშგება არ არის აუდიტირებული.

კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტს წერილობითი გაფრთხილება ეგზავნება. წერილობითი გაფრთხილებით განსაზღვრულ ვადაში სუბიექტის მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების კანონის მოთხოვნების შესაბამისად წარუდგენლობა გამოიწვევს მის დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. სამსახური სუბიექტს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად ფულადი ჯარიმის შესახებ აქტით დამატებით ვადას განუსაზღვრავს. სამსახურის მიერ სუბიექტისთვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები და 6 თვეზე მეტი. აღნიშნულ

ვადაში სუბიექტის მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარუდგენლობა გამოიწვევს მის დაჯარიმებას საწარმოს კატეგორიისთვის განსაზღვრული ჯარიმის ორმაგი ოდენობით“.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტისა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;
2. სუბიექტს დაევალოს, კანონით დადგენილი წესით ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება (აუდიტორის დასკვნასთან ერთად) სრულად, ერთ დოკუმენტში ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში.;
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას;
4. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური